

შპს ენერგია

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო
წლისათვის

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
--------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	11
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	12
5. შესადარისი რიცხვების გადანგარიშების ეფექტი	15
6. ძირითადი საშუალებები	16
7. საინვესტიციო ქონება	16
8. ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში.....	16
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	17
11. საწესდებო კაპიტალი.....	18
12. მიღებული სესხები	18
13. ამონაგები.....	19
14. პირდაპირი ხარჯები	19
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	19
17. პირობითი ვალდებულებები.....	20
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	21
19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	21

მმართველობის ანგარიშგება.....	27
-------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ენერგიას ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ენერგიას (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობები" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ მე-5 შენიშვნაზე, სადაც აღწერილია შესადარისი მონაცემების გადაანგარიშების ეფექტი. 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ასევე ჩავატარეთ მე-5 შენიშვნაში წარმოდგენილი შესწორებების აუდიტიც. ჩვენი აზრით მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი და შესაბამისია ფასს-ების მოთხოვნებთან. შესადარის ინფორმაციაზე ჩატარებული აუდიტორული პროცედურები შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული შესწორებებით. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასა და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის

დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:



ივანე ჟუჟუნაშვილი (SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

27 დეკემბერი 2021

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ენერგიას ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ენერგიას (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობები” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ მე-5 შენიშვნაზე, სადაც აღწერილია შესადარისი მონაცემების გადაანგარიშების ეფექტი. 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ასევე ჩავატარეთ მე-5 შენიშვნაში წარმოდგენილი შესწორებების აუდიტიც. ჩვენი აზრით მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი და შესაბამისია ფასს-ების მოთხოვნებთან. შესადარის ინფორმაციაზე ჩატარებული აუდიტორული პროცედურები შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული შესწორებებით. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოზრდილ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

27 დეკემბერი 2021

შპს ენერგია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული, შენიშვნა 5)	1 იანვარი 2019 (გადაანგარიშებული, შენიშვნა 5)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	29,303,777	30,091,145	31,117,754
საინვესტიციო ქონება	7	840,024	858,761	877,497
ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში	8	66,632,974	55,933,358	53,319,214
		96,776,775	86,883,264	85,314,465
მოკლევადიანი აქტივები				
გაცემული სესხები		34,190	34,190	544,280
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	862,805	748,393	1,225,302
წინასწარ გადახდილი გადასახადები		1,538	21,021	18,305
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	7,712,431	778,878	726,200
		8,610,964	1,582,482	2,514,087
სულ აქტივები		105,387,739	88,465,746	87,828,552
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	14,853,834	21,124,888	23,508,374
დაუფარავი ზარალი		(4,665,969)	(9,959,782)	(10,541,054)
		10,187,865	11,165,106	12,967,320
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	12	81,893,322	53,997,948	55,926,730
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	12	13,121,501	12,099,491	9,372,164
ვალდებულება თავდებობის მომსახურებაზე	5	-	10,850,473	9,377,233
სხვა ვალდებულებები		185,051	352,728	185,105
		13,306,552	23,302,692	18,934,502
სულ ვალდებულებები		95,199,874	77,300,640	74,861,232
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		105,387,739	88,465,746	87,828,552

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 27 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

დ. უგრელიძე

მთავარი ბუღალტერი

ე.კოჭორიძე

შპს ენერგია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული, შენიშვნა 5)	1 იანვარი 2019 (გადაანგარიშებული, შენიშვნა 5)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	29,303,777	30,091,145	31,117,754
საინვესტიციო ქონება	7	840,024	858,761	877,497
ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში	8	66,632,974	55,933,358	53,319,214
		96,776,775	86,883,264	85,314,465
მოკლევადიანი აქტივები				
გაცემული სესხები		34,190	34,190	544,280
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	862,805	748,393	1,225,302
წინასწარ გადახდილი გადასახადებები		1,538	21,021	18,305
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	7,712,431	778,878	726,200
		8,610,964	1,582,482	2,514,087
სულ აქტივები		105,387,739	88,465,746	87,828,552
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	14,853,834	21,124,888	23,508,374
დაუფარავი ზარალი		(4,665,969)	(9,959,782)	(10,541,054)
		10,187,865	11,165,106	12,967,320
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	12	81,893,322	53,997,948	55,926,730
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	12	13,121,501	12,099,491	9,372,164
ვალდებულება თავდებობის მომსახურებაზე	5	-	10,850,473	9,377,233
სხვა ვალდებულებები		185,051	352,728	185,105
		13,306,552	23,302,692	18,934,502
სულ ვალდებულებები		95,199,874	77,300,640	74,861,232
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		105,387,739	88,465,746	87,828,552

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 27 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

დ. უგრელიძე

მთავარი ბუღალტერი

ე.კოჭორიძე

შპს ენერგია

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019 (გადაანგარიშებული , შენიშვნა 5)
ამონაგები	13	14,821,714	13,820,504
პირდაპირი ხარჯები	14	(2,211,751)	(2,453,940)
საერთო მოგება		12,609,963	11,366,564
საიჯარო შემოსავლები		189,465	105,348
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(980,924)	(1,015,811)
მოთხოვნების გაუფასურების ამობრუნება (ზარალი)		163,722	(244,756)
საოპერაციო მოგება		11,982,226	10,211,345
საპროცენტო ხარჯები, წმინდა		(5,958,501)	(5,962,069)
ერთობლივი საწარმოს მოგების წილი	8	10,699,616	2,614,144
საკომისიო ხარჯი	5	(956,201)	(803,739)
საკურსო სხვაობის ზარალი, წმინდა		(10,473,327)	(5,478,409)
მთლიანი სრული შემოსავალი		5,293,813	581,272

შპს ენერგია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ
2019 წლის 1 იანვრისთვის	23,508,374	(1,163,821)	22,344,553
გადაანგარიშების ეფექტი (შენიშვნა 5)		(9,377,233)	(9,377,233)
2019 წლის 1 იანვრისთვის (გადაანგარიშებული, შენიშვნა 5)	23,508,374	(10,541,054)	12,967,320
მფლობელზე განაწილება			
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(2,383,486)	-	(2,383,486)
მთლიანი სრული შემოსავალი (გადაანგარიშებული, შენიშვნა 5)	-	581,272	581,272
2019 წლის 31 დეკემბრისთვის (გადაანგარიშებული, შენიშვნა 5)	21,124,888	(9,959,782)	11,165,106
მფლობელზე განაწილება			
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(6,271,054)	-	(6,271,054)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	5,293,813	5,293,813
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	14,853,834	(4,665,969)	10,187,865

შპს ენერგია

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		5,293,813	581,272
კორექტირებები:			
ცვეთა		1,052,618	1,054,037
საპროცენტო ხარჯი, წმინდა		5,958,501	5,962,069
ერთობლივი საწარმოში მოგების წილი		(10,699,616)	(2,614,144)
გაუფასურების (ამობრუნება) ზარალები მოთხოვნებზე		(163,722)	244,756
საკურსო სხვაობის ზარალი, წმინდა		10,473,327	5,478,409
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		11,914,921	10,706,399
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში			
წინასწარ გადახდილი გადასახადის შემცირება (ზრდა)		19,483	(2,716)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება		49,310	232,153
ვალდებულება თავდებობის მომსახურებაზე (შემცირება) ზრდა		(12,427,891)	803,739
სხვა ვალდებულებების (შემცირება) ზრდა		(167,677)	162,394
საოპერაციო საქმიანობიდან (გასული) შემოსული ფულადი სახსრები		(611,854)	11,901,969
გადახდილი პროცენტი	12	(5,803,229)	(5,736,499)
მიღებული პროცენტი		-	20,000
საოპერაციო საქმიანობიდან (გასული) შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		(6,415,083)	6,185,470
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(246,513)	(8,692)
გაცემული სესხის შემცირება		-	217,850
საინვესტიციო საქმიანობიდან (გასული) შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		(246,513)	209,158
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	12	27,305,271	2,141,453
გადახდილი სესხები	12	(7,357,559)	(6,389,885)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	11	(6,271,054)	(2,078,486)
ფინანსური საქმიანობიდან შემოსული (გასული) წმინდა ფულადი სახსრები		13,676,658	(6,326,918)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა		7,015,062	67,710
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის		778,878	726,200
ფულისა და ფულის ეკვივალენტების გადაფასების ეფექტი		(81,509)	(15,032)
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის		7,712,431	778,878

შპს ენერგია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ენერგია (შემდეგში - კომპანია) დარეგისტრირდა 2010 წლის 8 სექტემბერს თბილისში, საქართველოში, სარეგისტრაციო კოდით 401950037, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და საქმიანობას ეწევა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის მთავარი საქმიანობაა ჰიდროელექტროსადგურების ექსპლუატაცია:

- ლარსი, საქართველო (სიმძლავრე 19 მეგავატი); და
- შილდა, საქართველო (სიმძლავრე 5 მეგავატი).

კომპანიის იურიდიული მისამართია 4/11 ბელიაშვილის ქუჩა, თბილისი, საქართველო. კომპანიის დირექტორია დავით უგრელიძე.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის მეწილეებს წარმოადგენდნენ: მევლად ბლიაძე (70%) და შპს ფერი (30%).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის მენეჯმენტისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-19 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხები არ არის დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ საქმიანობა საქართველოში და სჯერათ, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ახალ ფასს-ებზე გადასვლა

ა) 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

მიღებულ იქნა რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანს არ მოუხდენია არსებითი ზეგავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება); და
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძველები.
- COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა (ფასს 16-ის ცვლილებები)
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7);

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომავალ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია.

2. მოზადების საფუძველი (გაგრძელება)

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდეგი შესწორებები:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასის სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ფასს 1-ის, ფასს 9-ის, ფასს 16-ის და ბასს 41-ის შესწორებები); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის შესწორებები).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა კომპანიას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით. ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1-ელ იანვრამდე. კომპანია არ ელოდება, რომ IASB-ის მიერ გამოცემულ სხვა სტანდარტებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის ეფექტური, მნიშვნელოვანი გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანიამ დანერგა ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. კოლექტიური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, კომპანიამ დააჯგუფა ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია კომპანიის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. ფინანსური აქტივების გაუფასურების შესახებ დეტალები მოცემულია მე -9 შენიშვნაში

დაბეგვრა - ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არ არის. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას.

სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალოზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არაუდებიტრებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი
- სავალუტო რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

კომპანიას არ მოუხდენია არსებითი ცვლილებები წინა პერიოდებთან შედარებით ფინანსური ინსტრუმენტების რისკების, მისი მიზნების, პოლიტიკისა და ამ რისკების მართვის პროცესების ან მათი შეფასების მეთოდებში, თუ ასხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები, რომლებსაც იყენებს კომპანია და საიდანაც წარმოიქმნება ფინანსური რისკები, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- სავაჭრო მოთხოვნები
- გაცემული სესხები
- ფული და ფულის ეკვივალენტები
- მიღებული სესხები
- ვალდებულება თავდებობის მომსახურებაზე
- სხვა ვალდებულებები

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით. ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება, გარდა გრძელვადიანი მიღებული სესხებისა, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. მიღებული სესხების საბალანსო ღირებულება არსებით დონეზე შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობას ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობის შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არ დაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოეშვება, როდესაც ხდება კრედიტით გაყიდვები.

კომპანიის საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულია ის აუცილებელი პროცედურები რაც უნდა ჩატარდეს საკრედიტო რისკის გასაწესებლად, კონტრაქტის გაფორმებამდე.

ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ხდება ყოველი ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება კლიენტისთვის კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადების და პირობების შეთავაზება.

შპს ენერგია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით. ფინანსური აქტივები, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის არ არის არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვა რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	862,805	-	-	862,805
გაცემული სესხები	34,190	-	-	34,190
ფული და ფულის ეკვივალენტები	757,846	6,954,585	-	7,712,431
	1,654,841	6,954,585	-	8,609,426
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	94,831,484	183,339	95,014,823
სხვა ვალდებულებები	185,051	-	-	185,051
	185,051	94,831,484	183,339	95,199,874
ღია საბალანსო პოზიცია	1,469,790	(87,876,899)	(183,339)	(86,590,448)

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	748,393	-	-	748,393
გაცემული სესხები	34,190	-	-	34,190
ფული და ფულის ეკვივალენტები	775,484	3,307	87	778,878
	1,558,067	3,307	87	1,561,461
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	2,500	65,946,581	148,358	66,097,439
ვალდებულება თავდებობის მომსახურებაზე	-	10,850,473	-	10,850,473
სხვა ვალდებულებები	352,728	-	-	352,728
	355,228	76,797,054	148,358	77,300,640
ღია საბალანსო პოზიცია	1,202,839	(76,793,747)	(148,271)	(75,739,179)

შპს ენერგია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,225,302	-	-	1,225,302
გაცემული სესხები	544,280	-	-	544,280
ფული და ფულის ეკვივალენტები	726,200	-	-	726,200
	2,495,782	-	-	2,495,782
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	166,730	65,005,076	127,088	65,298,894
ვალდებულება თავდებობის მომსახურებაზე	-	9,377,233	-	9,377,233
სხვა ვალდებულებები	185,105	-	-	185,105
	351,835	74,382,309	127,088	74,861,232
ღია საბალანსო პოზიცია	2,143,947	(74,382,309)	(127,088)	(72,365,450)

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას აშშ დოლარის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას.

	2020		2019	
ვალუტის კურსის მიმართ მგრძნობელობა	+20%	-20%	+20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი მოგება/(ზარალი)	(17,612,048)	17,612,048	(15,358,749)	15,358,749
ევროს ეფექტი მოგება/(ზარალი)	(36,668)	36,668	(29,654)	29,654
	(17,612,048)	17,612,048	(15,388,404)	15,388,404

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. კომპანიას მიღებული და გაცემული სესხები აქვს აღებული ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთით და შესაბამისად საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებულ შესაძლო რისკები მისაღებ დონემდეა შემცირებული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კომპანია ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს ფლობს ერთ წლამდე ვადით, გარდა გაცემული გრძელვადიანი სესხებისა, ლიკვიდურობის სხვაობა (არადისკონტრირებული მონაცემებით) წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი
31 დეკემბერი 2020	(4,697,126)	(67,454,060)	(14,439,262)
31 დეკემბერი 2019	(21,741,231)	(32,360,888)	(21,637,060)
1 იანვარი 2019	(16,438,666)	(27,141,915)	(28,784,815)

რეალური ღირებულების იერარქია

ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განისაზღვრა შეფასების 1 დონით, მიღებული სესხებისა და გაცემული სესხების რეალური ღირებულება განისაზღვრა შეფასების მე-2 დონით, ხოლო სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განისაზღვრა შეფასების მე-3 დონით.

შპს ენერგია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელი მოგებას. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მისი როლი, როგორც კორპორატიული ხელმძღვანელების, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მეწილეებისთვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად საქონლისა და მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

5. შესადარისი რიცხვების გადაანგარიშების ეფექტი

2016 წლის 26 დეკემბერს კომპანიას ჰქონდა გაფორმებული შპს ყაზბეგის ჰესთან თავდებობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შპს ყაზბეგი ჰესი კომპანიას ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტისგან აღებული სესხის თავდებში დაუდგა, მომსახურების სანაცვლოდ შპს ყაზბეგის ჰესს უნდა მიეღო საკომისიო. კომპანიას არ ჰქონდა აღრიცხული აღნიშნული ოპერაციის შედეგი წინა ფინანსურ ანგარიშგებებში, შესაბამისად მენეჯმენტმა გადაწყვიტა დაეკორექტირებინა 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების შესადარისი მონაცემები. 2020 წლის დეკემბერში, კომპანიამ სრულად დაფარა ყაზბეგი ჰესთან არსებული დავალიანება. გადაანგარიშების ეფექტი წლების მიხედვით მოცემული ქვემოთ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის:

	გადაანგარიშებამდე 31 დეკემბერი 2019	კორექტირება	გადაანგარიშებული 31 დეკემბერი 2019
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
ვალდებულება თავდებობის მომსახურებაზე	-	10,850,473	10,850,473
გაუნაწილებელი მოგება	890,691	(10,850,473)	(9,959,782)
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
საკომისიო ხარჯი	-	(803,739)	(803,739)
საკურსო სხვაობის ზარალი, წმინდა	(4,808,908)	(669,502)	(5,478,410)

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	გადაანგარიშებამდე 1 იანვარი 2019	კორექტირება	გადაანგარიშებული 1 იანვარი 2019
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
ვალდებულება თავდებობის მომსახურებაზე	-	9,377,233	9,377,233
გაუნაწილებელი მოგება	(1,163,821)	(9,377,233)	(10,541,054)

შპს ენერგია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

	ჰიდრო-ტექნიკური ნაგებობები	ტექნიკური აღჭურვილობა	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება				
1 იანვარი 2019	21,922,606	13,994,217	456,039	36,372,862
შემოსვლა	-	-	8,692	8,692
31 დეკემბერი 2019	21,922,606	13,994,217	464,731	36,381,554
შემოსვლა	-	10,385	236,128	246,513
31 დეკემბერი 2020	21,922,606	14,004,602	700,859	36,628,067
დაგროვილი ცვეთა				
1 იანვარი 2019	(2,223,368)	(2,797,028)	(234,712)	(5,255,108)
ცვეთა	(441,297)	(562,035)	(31,969)	(1,035,301)
31 დეკემბერი 2019	(2,664,665)	(3,359,063)	(266,681)	(6,290,409)
ცვეთა	(441,297)	(563,766)	(28,818)	(1,033,881)
31 დეკემბერი 2020	(3,105,962)	(3,922,829)	(295,499)	(7,324,290)
ნეტო საბალანსო ღირებულება				
1 იანვარი 2019	19,699,238	11,197,189	221,327	31,117,754
31 დეკემბერი 2019	19,257,941	10,635,154	198,050	30,091,145
31 დეკემბერი 2020	18,816,644	10,081,773	405,360	29,303,777

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები სრულად ჩადებულია ადგილობრივი ბანკისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფაში.

7. საინვესტიციო ქონება

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს, ასევე 2019 წლის 1 იანვარს საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია სასტუმროთი, რომელიც მდებარეობს ყაზბეგში. 2017 წლის 1 იანვრიდან სასტუმრო გაცემულია საოპერაციო იჯარით სს დარიალი ენერჯიზზე. 2020 და 2019 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო საიჯარო შემოსავალი 63,326 ლარი და 60,233 ლარი, წლების შესაბამისად.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონება სრულად ჩადებულია ადგილობრივი ბანკისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფაში.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებითად არ განსხვავდებოდა საბალანსო ღირებულებისგან.

8. ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანია ფლობდა 44.27% სს დარიალი ენერჯიზში (შემდეგში - ერთობლივი საწარმო). ერთობლივი საწარმო ფლობს ჰიდროელექტროსადგურ „დარიალს“, რომელიც ოფიციალურად 2016 წლის 1 დეკემბერს ამოქმედდა.

ასევე, კომპანია ფლობს 50%-იან წილს შპს ზვავში, რომელიც არ ფუნქციონირებს და არ გააჩნია არსებითი აქტივები და ვალდებულებები.

კომპანიას და ერთობლივ საწარმოებს აქვს იგივე საანგარიშგებო პერიოდები. საკონტრაქტო შეთანხმება კომპანიას აძლევს უფლებას ერთობლივი საწარმოს წმინდა აქტივებზე.

ღირებულების გადანაწილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
1 იანვრისთვის	55,933,358	53,319,214
მოგების წილი	10,699,616	2,614,144
31 დეკემბრისთვის	66,632,974	55,933,358

შპს ენერგია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

8. ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
აქტივები	262,576,000	253,693,000	257,521,000
ვალდებულებები	183,557,000	198,843,000	208,576,000
პერიოდის მოგება	24,169,000	5,905,000	1,091,000

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	751,374	696,056	1,029,014
მოთხოვნები იჯარით გაცემული ქონებიდან	129,240	270,745	183,800
სხვა მოთხოვნები	63,225	26,348	12,488
მინუს: გაუფასურების რეზერვი	(81,034)	(244,756)	-
	862,805	748,393	1,225,302

როგორც მე-13 შენიშვნაშია განმარტებული, ელექტროენერგიის რეალიზაცია ხდება მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ კომპანიაზე - სს ესკო-ზე (ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი). სავაჭრო მოთხოვნები არის ესკოსთან დაკავშირებული მოთხოვნები.

კომპანია არ ფლობს რაიმე სახის უზრუნველყოფას. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების განაწილება ვალუტების მიხედვით განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ვადაგადაცილება დღეებში						
	მიმდინარე	1-30	31-90	91-180	181-360	>360	სულ
ზარალის განაკვეთი	1%	3%	10%	50%	70%	100%	
2020 წლის 31 დეკემბერი							
საბალანსო ღირებულება	766,691	9,142	17,733	30,725	36,967	36,857	898,114
გაუფასურების რეზერვი	4,408	158	1,020	8,833	29,758	36,857	81,034
2019 წლის 31 დეკემბერი							
საბალანსო ღირებულება	709,289	11,515	19,221	21,935	22,542	208,647	993,149
გაუფასურების რეზერვი	7,095	345	1,922	10,968	15,779	208,647	244,756

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ 45,725 ლარის მოთხოვნების გაუფასურებაზე იმსჯელა ინდივიდუალურად და გაუფასურები რეზერვი შეფასდა ნული ღირებულებით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია კომპანიის ისტორიული განაკვეთებით 4 წლის განმავლობაში. კომპანიამ გამოიყენა გამოწვევის ფასი 9 ის 85.5.50 და 85.5.51 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის მომხმარებლებზე.

ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
1 იანვარი	244,756	-
ზრდა	-	244,756
შემცირება	(163,722)	-
31 დეკემბერი	81,034	244,756

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ბანკში, მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს.

ფული და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

შპს ენერგია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

11. საწესდებო კაპიტალი

2020 წლის განმავლობაში აქციონერთა გადაწყვეტილებების თანახმად (სულ 4 შეხვედრა) კაპიტალის შემცირება განისაზღვრა 2,757,143 აშშ დოლარით (აქედან მეველუდ ბლიაძეზე იყო - 1,930,000 აშშ დოლარი, შპს ფერზე - 827,143 აშშ დოლარი). გამომდინარე იქიდან რომ 2020 წელს ფული გაიტანა მხოლოდ მეველუდ ბლიაძემ, საწესდებო კაპიტალი შემცირდა 6,271,054 ლარით.

2019 წლის განმავლობაში აქციონერთა გადაწყვეტილებების თანახმად (სულ 6 შეხვედრა) კაპიტალის შემცირება განისაზღვრა 1,210,198 აშშ დოლარით (მეველუდ ბლიაძე - 847,138 აშშ დოლარი და შპს ფერი - 363,059 აშშ). გამომდინარე იქიდან რომ 2019 წელს ფული გაიტანა მხოლოდ მეველუდ ბლიაძემ, საწესდებო კაპიტალი შემცირდა 2,383,486 ლარით.

12. მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
გრძელვადიანი			
სს თიბისი ბანკი	55,680,522	53,997,948	55,926,730
შპს ფერი	26,212,800	-	-
	81,893,322	53,997,948	55,926,730
მოკლევადიანი			
სს თიბისი ბანკი	7,900,033	6,677,560	6,183,418
შპს ფერი	3,965,463	4,746,438	2,709,850
დავით უგრელიძე	604,036	524,643	185,078
ჰიდროენერჯი	468,630	2,492	166,730
მეველუდ ბლიაძე	183,339	148,358	127,088
	13,121,501	12,099,491	9,372,164
სულ მიღებული სესხები	95,014,823	66,097,439	65,298,894

მიღებული სესხების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. გაცემული სესხების განაწილება ვალუტების მიხედვით განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

სს თიბისი ბანკთან არსებული ხელშეკრულების თანახმად, კომპანია სესხის დასრულების თარიღამდე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ფინანსურ კოვენანტებს:

- შეინარჩუნოს სესხის მომსახურების კოეფიციენტი არანაკლებ 1.08-ზე;
- შეინარჩუნოს ყაზბეგ ჰესთან კონსოლიდირებული სესხის მომსახურების კოეფიციენტი არანაკლებ 1.3-ზე;
- შეინარჩუნოს Debt to EBITDA კოეფიციენტი არაუმეტეს 5.71-სა - 2017 წელს, 5.28 - 2018 წელს, 4.81 - 2019 წელს, 4.30 - 2020 წელს და 3.74 - 2021 წელს;
- შეინარჩუნოს ყაზბეგ ჰესთან კონსოლიდირებული Debt to EBITDA კოეფიციენტი არაუმეტეს 4.80-სა - 2017 წელს, 4.00 - 2018 წელს, 3.50 - 2019 წელს, 3.00 - 2020 წელს და 2.50 2021 წელს.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიამ ვერ დააკმაყოფილა სასესხო ხელშეკრულებით დადგენილი ფინანსური ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებების ვერ დაკმაყოფილების შემთხვევაში კრედიტორს აქვს უფლება მაგრამ არა ვალდებულება მოითხოვოს თანხის დაუყოვნებლივ დაფარვა. კრედიტორისგან მიღებული დასტურის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მოლოდინი აქვს, რომ კრედიტორი არ მოითხოვს სესხის დაუყოვნებლივ დაფარვას.

სს თიბისი ბანკის სესხის უზრუნველსაყოფად, მსესხებლის მიერ იპოთეკით დაიტვირთა ყველა ძირითადი საშუალება და საინვესტიციო ქონება, ასევე მფლობელთა 100%-იანი წილი.

ფინანსური ვალდებულებების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
1 იანვრისთვის	66,097,439	65,298,894
სესხის აღება	27,305,271	2,141,453
სესხის გადახდა	(7,357,559)	(6,389,885)
პროცენტის გადახდა	(5,803,229)	(5,736,499)
გადაფასების ეფექტი	8,814,400	4,788,648
საპროცენტო ხარჯი	5,958,501	5,994,828
31 დეკემბრისთვის	95,014,823	66,097,439

შპს ენერგია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

13. ამონაგები

ამონაგები მოიცავს შილდა ჰესისა და ლარსი ჰესის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს. თითოეული ჰესის მიერ გენერირებული ამონაგები წარდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ლარსი ჰესი	12,159,028	11,230,683
შილდა ჰესი	2,662,686	2,589,821
საქონლის ან მომსახურების გადაცემის დრო: დროის გარკვეულ მომენტში	14,821,714	13,820,504

კომპანია წარმოებული ელექტროენერგიის 100%-ს ყიდის სს ესკოს (ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი). ელექტროენერგიის ფასი რეგულირდება საქართველოს მთავრობის მიერ.

14. პირდაპირი ხარჯები

	2020	2019
ცვეთა	(1,010,785)	(1,009,054)
ხელფასები	(574,163)	(532,403)
ქონების გადასახადი	(346,938)	(368,102)
ქონების დაზღვევა	(105,714)	(114,811)
სხვა	(174,151)	(429,570)
	(2,211,751)	(2,453,940)

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ხელფასები	(684,685)	(690,179)
დაზღვევა	(132,884)	(144,319)
პროფესიული მომსახურება	(48,427)	(30,641)
ცვეთა	(41,833)	(44,983)
რემონტი და შეკეთება	(22,085)	(21,218)
სხვა ხარჯები	(51,010)	(84,471)
	(980,924)	(1,015,811)

უმაღლესი ხელმძღვანელობის კომპენსაციები განმარტებულია მე-16 შენიშვნაში.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მფლობელები	ერთობლივი საწარმო	უმაღლესი ხელმძღვანელობა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	53,014	81,226	-
მიღებული სესხები	(30,361,602)	-	(604,036)
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
საიჯარო შემოსავლები	32,034	115,516	-
წმინდა საპროცენტო ხარჯები	(423,416)	-	(63,959)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	-	(514,879)
საკუთრობის სხვაობის მოგება ზარალი	(349,498)	-	(36,822)

შპს ენერგია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

16. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მფლობელები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	ერთობლივი საწარმო
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	37,800	-	248,875
მიღებული სესხები	(4,894,796)	(524,643)	-
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
საიჯარო შემოსავალი	32,034	-	60,233
საპროცენტო ხარჯი, წმინდა	(194,610)	(33,730)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(6,447)	(493,900)	-
საკუროს სხვაობის ხარჯი, წმინდა	(357,877)	(9,332)	-

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მფლობელები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	ერთობლივი საწარმო	სხვა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	46,050	-	177,800	-
გაცემული სესხები	-	305,000	-	224,120
მიღებული სესხები	(2,836,938)	(185,078)	-	(166,730)
სხვა ვალდებულებები	(222,026)	-	-	(24,500)

17. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი.

ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

დივიდენდების განაწილება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება. პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი კომპანიას არ წარმოეშვება რადგან 2020 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას აქვს დაგროვილი ზარალები.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არამაკორექტირებელი მოვლენა

- 2021 წლის იანვარში აქციონერთა გადაწყვეტილებების თანახმად (სულ 3 შეხვედრა) კაპიტალის შემცირება განისაზღვრა 3,128,571 აშშ დოლარით (აქედან მევლუდ ბლიაძეზე იყო 2,190,000 აშშ დოლარი, შპს ფერზე - 938,571 აშშ დოლარი).
- 2021 წლის ოქტომბერში და დეკემბერში ჩატარდა სს დარიალი ენერჯის (ერთობლივად კონტროლირებადი საწარმო) პარტნიორთა 2 კრება. შედეგად გადაწყდა რომ კომპანია მიიღებდა 3,153,339 აშშ დოლარის დივიდენდს.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა წელზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ერთობლივი საქმიანობა

ხელშეკრულებით დადგენილი ერთობლივი კონტროლის უფლება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც რელევანტურ საქმიანობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა ერთსულოვან თანხმობას. ერთობლივი საქმიანობის დროს გამოიყენება კონტროლის შეფასების იგივე პრინციპები, რაც გამოიყენება შვილობილის საწარმოს შეფასების დროს.

კომპანია თავის წილს ერთობლივ საქმიანობაში აკლასიფიცირებს როგორც:

- ერთობლივი საწარმო: სადაც კომპანიას გააჩნია ერთობლივი კონტროლი საქმიანობაზე, აქვს უფლებები ამ საქმიანობის წმინდა აქტივებზე.
- ერთობლივი ოპერაცია: სადაც კომპანია რომელიც ერთობლივ კონტროლს ახორციელებს საქმიანობაზე, გააჩნია ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტივებზე უფლებები და პასუხისმგებლობა ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე.

ერთობლივი საქმიანობის კლასიფიცირებისთვის კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს:

- ერთობლივი საქმიანობის სტრუქტურა;
- განცალკევებული სუბიექტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა;
- სახელშეკრულებო შეთანხმების პირობები;
- თუ აუცილებელია, სხვა ფაქტორები და გარემოებები.

კომპანია ერთობლივ საქმიანობაში წილს აღრიცხავს წილობრივი მეთოდით. წილობრივი მეთოდის თანახმად, ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით და შემდგომში მისი საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, რათა აისახოს შემენის თარიღის შემდგომ პერიოდში ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში (გარდა იმ ზარალებისა, რომელიც აღემატება ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას).

თუ არის საფუძვლიანი რწმუნება რომ ინვესტიცია ერთობლივად კონტროლირებად საწარმოში არის გაუფასურებული, მაშინ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურებაზე იტესტება ისევე როგორც ეს ხდება არაფინანსური აქტივების შემთხვევაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ფლობის მიზნიდან გამომდინარე აკლასიფიცირებს ერთ-ერთი კატეგორიის მიხედვით, რომლებიც ქვემოთ არის განხილული. კომპანია არ ფლობს ფინანსურ აქტივს რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალის ასახვით ან რეალური ღირებულებით სხვა სრული შემოსავალის ასახვით.

ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შემენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.

19. მნიშვნელოვანი საღირებვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაუფასურების რეზერვები დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ მოთხოვნებზე და გაცემულ სესხებზე აღიარდება მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების მოდელის შესაბამისად. მეთოდოლოგია, რომელსაც კომპანია იყენებს გაუფასურების რეზერვის განსაზღვრისთვის, დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი. იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელთა საწყისი აღიარების შემდეგ არ გაზარდილა საკრედიტო რისკი, კომპანია ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ბრუტო მეთოდით. იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელთა საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რისკი, კომპანია ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ბრუტო მეთოდით. იმ აქტივებზე, რომელსაც კომპანია განსაზღვრავს, რომ უკვე გაუფასურებულია, ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ნეტო მეთოდით.

დროთა განმავლობაში კომპანია აწარმოებს მოლაპარაკებებს მომხმარებლებთან მოთხოვნების პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ვისთანაც კომპანიას ადრე კარგი სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა. ასეთი მოლაპარაკებები დაკავშირებული გადახდის პირობების გაუმჯობესებასთან და არ ცვლის მისაღები ანაზღაურების ოდენობას. ახალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადები დისკონტირდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად და საბალანსო ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (საოპერაციო მოგება).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია კომპანიის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. კომპანიამ გამოიყენა გამოწვევის ფასი 9 ის 85.5.50 და 85.5.51 პუნქტების მიხედვით და სავაჭრო მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები.

ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის მომხმარებლებზე.

კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, გაცემულ სესხებსა და ფული და ფულის ეკვივალენტებს, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს კომპანია ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულება მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური ვალდებულებები. კომპანია არ ფლობს სხვა ფინანსური ვალდებულებებს რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება მიღებული სესხები და სხვა ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

19. მნიშვნელოვანი საღირსეზო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფასს 15 - ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანია შემოსავლებს იღებს წარმოებული ელექტრო ენერგიის რეალიზაციიდან. ელექტროენერგია რეალიზდება მხოლოდ ერთ მომხმარებელთან, რომელთანაც გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც კომპანიის ერთადერთი შესასრულებელი ვალდებულებაა ელექტროენერგიის მიწოდება. ელექტროენერგიის მიწოდების შესასრულებელი ვალდებულება კმაცოფილდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც აქტივზე კონტროლი გადადის მომხმარებელზე, ზოგადად მიწოდების დროს.

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება, მიუხედავად იმისა როდის მოხდება ანაზღაურება. შემოსავლის შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების საფუძველზე, გადასახადების გამოკლებით.

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანია შემოსავლებს იღებს ფიქსირებული ფასით განსაზღვრული ხელშეკრულებებიდან, რომელიც დამოკიდებულია შესრულებულ ვალდებულებებზე კონკრეტულ თარიღში.

კომპანიას არ აქვს ხელშეკრულებაში ჩადებული ისეთი პირობა, როდესაც ელექტროენერგიის მიწოდება და მომხმარებლის მიერ ვალდებულების დაფარვა ცდებოდეს ერთ წელს. შესაბამისად, კომპანია არ აკორექტირებს შემოსავლის თანხას ფულის დროითი ღირებულების გამო.

კომპანიას ხელშეკრულების შესაბამისად არ აქვს არაფულადი ანაზღაურების შემთხვევები.

გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე

კომპანია ანაწილებს გარიგების ფასს თითოეული შესასრულებელი ვალდებულების მიხედვით, ფიქსირებული ფასების საფუძველზე, რომელიც მოიცავს მომსახურებასთან დაკავშირებულ საზღაურს.

ხელშეკრულების გაფორმების და ხელშეკრულების პირობების შესრულების დანახარჯები

დანახარჯები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ხელშეკრულებასთან მოიცავს ჰიდრო ელექტრო სადგურის თანამშრომლების ფიქსირებულ ხელფასებს. აღნიშნული დანახარჯები არ არის აღიარებული როგორც აქტივი და აღიარებულია როგორც ხარჯი, რომელიც წარმოადგენს ისეთ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელსაც საწარმო მაინც გასწევდა, იმის მიუხედავად, გაფორმდებოდა თუ არა ხელშეკრულება.

ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული დანახარჯები არ აღიარდება ცალკე აქტივად, რადგან ასეთი დანახარჯები არის ბასს 16 ძირითადი საშუალებები-ს მოქმედების სფეროში.

რეალური ღირებულებით შეფასება

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. ხარჯები, რომლებიც გამოიყენება რეალური ღირებულების შეფასებისთვის, კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეზე, იმის მიხედვით თუ რამდენად შესაძლებელია ხარჯები არის გამოყენებული შეფასების მეთოდის განსაზღვრისთვის (რეალური ღირებულების იერარქია):

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

19. მნიშვნელოვანი საღირსეზო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციები****სამუშაო და წარსადგენი ვალუტა**

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

დაბეგრა**მიმდინარე მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იხეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები მოგების გადასახადის გარდა

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთის დარიცხვა ხდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე, იმისთვის რომ მოხდეს აქტივების გახარჯვა სრულად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მიწას არ ერიცხება ცვეთა. ცვეთის ხარჯის დაანგარიშება, ყველა ჯგუფის ძირითადი საშუალებისთვის ხდება წრფივი მეთოდით, შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები)
ჰიდროტექნიკური ნაგებობები	50
ტექნიკური აღჭურვილობა	25
სხვა	5-50

19. მნიშვნელოვანი საღირცხოვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის მიწა და შენობა, რომლებსაც კომპანია ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით. კომპანიას არჩეული აქვს თვითღირებულების მოდელი შემდგომი შეფასებისთვის.

მიწას არ ერიცხება ცვეთა. შენობის ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით (50 წელზე). სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია იმგვარად რომ მოხდეს აქტივის ღირებულების სრულად გახარჯვა სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოხილავს გრძელვადიანი აქტივების (ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება) საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურებაზე იტესტება აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულება.

გაუფასურების ზარალი მოგება ზარალში აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

ხელფასები და მასთან დაკავშირებული ანაზღაურება

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება იმ წელს, როცა თანამშრომლისგან ხდება შესაბამისი მომსახურების მიღება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად აღიარებულ შემოსავლებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის, „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.

ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;

გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გათვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულება არის:

(ა) შესაძლო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს; ან

(ბ) მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად, მაგრამ აღიარებული არ არის, რადგან:

- მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; ან
- ვალდებულების თანხის საკმარისად საიმედოდ შეფასება შეუძლებელია.

პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში. ინფორმაცია პირობითი ვალდებულების შესახებ გაშიფრულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმოდან ეკონომიკურ სარგებელში განივთებული სარგებლის გასვლა მოსალოდნელია შორეულ მომავალში.

შპს ენერგია

მმართველობის ანგარიშგება - საქმიანობის მიმოხილვა

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

შპს ენერგია

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის საქმიანობის მიმოხილვა

თბილისი, 2021

კომპანიის შესახებ ზოგადი ინფორმაცია.....	29
კომპანიის განვითარების გეგმები	29
ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ	29
კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	29
საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	29
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	30
გარემოს დაცვა.....	30
კომპანიის ძირითადი რისკების და რისკების მართვის პოლიტიკის მიმოხილვა.....	30
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ	32

შპს ენერგია

მმართველობის ანგარიშგება - საქმიანობის მიმოხილვა

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

კომპანიის შესახებ ზოგადი ინფორმაცია

შპს ენერგია (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას რომელიც დაარსებულია და მდებარეობს საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია ბელიაშვილის ნაკვეთი 4/11, თბილისის საქართველო.

შპს ენერგია-ს ძირითადი საქმიანობა არის ელექტრო-ენერგიის გენერაცია და გაყიდვა. კომპანიის ძირითად საოპერაციო აქტივი არის ორი ჰიდრო-ელექტრო სადგური:

ლარსი ჰესი (19 მეგავატიანი) რომელიც მდებარეობს დარიალში, ყაზბეგის რაიონი. ლარსი ჰესის მშენებლობა დასრულდა 2014 წლის იანვარში და დასრულების თანავე დაიწყო ელექტრო-ენერგიის გენერაცია და გაყიდვა.

შილდა ჰესი (5 მეგავატიანი) რომელიც მდებარეობს სოფ. შილდაში, ყვარლის რაიონი. შილდა ჰესის მშენებლობა დასრულდა 2013 წლის სექტემბერში, სექტემბრის თვიდანვე დაიწყო ელექტრო-ენერგიის გენერაცია და გაყიდვა.

კომპანია ფლობს სს „დარიალი ენერჯის“ აქციების 44,27%-ს.

კომპანიის ძირითადი მესაკუთრე-ბენეფიციარები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის არიან:

ფ/პ მეველუდ ბლიაძე	70%
შპს ფერი	30%

კომპანიის განვითარების გეგმები

შპს ენერგია ფოკუსირებულია ელექტრო ენერგიის გენერაციაზე და გაყიდვაზე და არ გეგმავს ახლო მომავალში ეკონომიკის სხვა სექტორებში აქტიურობას. კომპანიის მენეჯმენტი მოტივირებულია არსებული ჰესებიდან მაქსიმალურად ეფექტურად მიიღოს გამომუშავებული ელ. ენერგია, რაც გულისხმობს, მუდმივ მონიტორინგს, კადრების გადამზადებას და ა.შ

ელექტრო-ენერგიის მზარდი მოხმარების პირობებში კომპანიის მიზანია, განვითარებული ინფრასტრუქტურით და მაღალკვალიფიციური თანამშრომლებით უპასუხოს თანამდეროვე გამოწვევებს და იტვირთოს მისია, რომლის ამოსავალი წერტილია გამოიმუშაოს უფრო მეტი ელექტრო-ენერგია და ამით შეიტანოს თავისი წვლილი ჩვენი ქვეყნის ენერგო დამოუკიდებლობაში.

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანია ფლობს ორ ჰესს, დეტალები აღწერილია პირველ პუნქტში.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანიას არ ჩაუტარებია მსგავსი კვლევა.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის ხელმძღვანელობის მიზანია რომ ჰქონდეს სტაბილური საოპერაციო შემოსავლები, ქვემოთ მოცემულია ის ძირითადი კოეფიციენტები რომლითაც ხდება კომპანიის შეფასება:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	ცვლილება
საერთო მოგება	12,609,963	11,366,564	1,243,399
საოპერაციო მოგება	11,982,226	10,211,345	1,770,881
წმინდა მოგება	5,293,813	581,272	4,712,541

როგორც ცხრილიდან ჩანს 2020 წელს მომგებიანობის მაჩვენებლები გაზრდილია, ამის მიზეზი არის ის, რომ კომპანიის ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოს ფინანსური მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა წინა წელთან შედარებით და ერთობლივი საწარმოს მოგების წილმა შეადგინა 10,699,616.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გარძელება)

კომპანია მიმდინარე წელსაც გავიდა წმინდა მოგებაზე, მიუხედავად იმისა, რომ აიღო ახალი სესხი ვალუტაში, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა საკუროს სხვაობებზე და საპროცენტო ხარჯებზე.

კომპანიის მენეჯმენტი დიდ ყურადღება უთმობს სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტს, რადგან კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიაში მოზიდული სახსრების დაბანდება ხდება გრძელვადიან აქტივებში რომელსაც დადებითი შედეგი შემდგომ წლებში მოაქვს. მსგავსი მაგალითი იყო 2016 წელს როდესაც კომპანიამ შეიძინა დამატებითი აქციები სს დარიალი ენერჯი-ში, რის სანაცვლოდაც კომპანიამ აიღო გრძელვადიანი სესხი და ეს იყო მიზეზი რომ კომპანიის ლიკვიდურობის კოეფიციენტი არის უარყოფითი.

სესხის აღების მომენტიდან მენეჯმენტი აქტიურად ცდილობს რომ კომპანიას არ გაუზრდეს ფულის დეფიციტი, კომპანიამ ზემოთ მოცემულ სესხზე გააკეთა მის შემოსავლებზე მორგებული გადახდის გრაფიკი, რაც გულისხმობს შემდეგს რომ გადახდები მეტია როდესაც კომპანია გამოიმუშავებს მეტ ელექტროენერგიას. ასევე საჭიროების შემთხვევაში მენეჯმენტი მზად არის რომ გააკეთოს დამატებითი ფულადი სახსრების დაბანდება კომპანიაში, 2020 წლის ჩათვლით ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები საკმარისი იყო კომპანიის ვალდებულებების დასაფარად.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიაში ადგილი არ ჰქონია საკუთარი აქციების შეძენას

გარემოს დაცვა

კომპანია ახორციელებს გარემოსდაცვითი მონიტორინგის სქემით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას და აგზავნის გარემოსდაცვით მონიტორინგის ანგარიშებს (ყოველკვარტალური და ყოველწლიური) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში. კომპანია ასრულებს გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

კომპანიის ძირითადი რისკების და რისკების მართვის პოლიტიკის მიმოხილვა

კომპანიის საქმიანობას ახლავს ფინანსური და არაფინანსური რისკები:

არაფინანსური რისკებიდან მნიშვნელოვანია ბენებრივი სტიქიური მოვლენები, რომლის გამოც შესაძლოა მოხდეს ჰესის პარალიზება და დაგეგმილი შემოსავლების ვერ მიღება, თუმცა ხელმძღვანელობამ დააზღვია საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნეს რისკები და ქონება, რაც უზრუნველყოფს რომ კომპანიამ მიიღოს დაგეგმილი შემოსავლები და მინიმუმამდე დაიყვანოს სტიქიური უბედურებისგან მიღებული ზარალები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სს „ელექტრო სისტემების კომერციულ ოპერატორ“-თან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად კომპანიის შემოსავლები ელექტრო-ენერგიის გაყიდვიდან გარანტირებულია და ფასიც ფიქსირებულია.

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19), რის გამოც 2020 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ დააწესა გარკვეული შეზღუდვები, თუმცა ამ შეზღუდვებს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე გავლენა არ მოუხდენია და სტაბილურად განაგრძო 2020 წელს შემოსავლების გენერირება, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის თანამშრომლები დისტანციურ რეჟიმზე მუშაობდნენ. კომპანიას არ უსარგებლია სესხების 3 თვიანი საშეღვათო პერიოდით და გრაფიკის მიხედვით იხდიდა ყოველთვიურ გადასახდელებს.

ფინანსური რისკები:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში.

მენეჯმენტმა შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ხდება ყოველი ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება კლიენტისთვის კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადების და პირობების შეთავაზება.

კომპანიის ძირითადი რისკების და რისკების მართვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია წარმოებული ელექტროენერგიის 100%-ს ყიდის სამთავრობო ორგანოს და მინიმალური საფრთხე ემუქრება ვალდებულებების შეუსრულებლობას.

მენეჯმენტი საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად.

არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი დაკავშირებულია საპროცენტო ხარჯის წარმომქმნელ ფინანსურ ინსტრუმენტებთან, საპროცენტო რისკის ცვალებადობიდან გამომდინარე. კომპანია ფლობს ყველა მიღებულ და გაცემულ სესხებს ფიქსირებული პროცენტით და შესაბამისად, მინიმალურია საპროცენტო განაკვეთის რყევების რისკი.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ საწესდებო კაპიტალს და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება/ზარალი. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მისი როლი, როგორც კორპორატიული ხელმძღვანელების, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს აქციონერებისათვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

შპს ენერგია

მმართველობის ანგარიშგება - საქმიანობის მიმოხილვა

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 27 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

_____ დ. უგრელიძე
_____ ე. კოჭორიძე



დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 27 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ დ. უგრელიძე

მთავარი ბუღალტერი _____ ე. კოჭორიძე